ფასი ყველგან 10 კ.

იუმორისტული ჟურნალი

23 თებერვალი, 1908 წ. № 19

თფილისის ქალაქის „მამები“ საშოვარზე.

## მკითხველთა და ხელის მომწერთა მიმართ.

ყველას მოგეხსენებათ როგორ ალალ-ბედზეა დამოკიდებული ჟურნალ გაზეთების საქმე დღევანდელ პირობებში! ყოველი მხრიდან იერიშით მოდიან და ადამიანს ათასი თვალი უნდა ჰქონდეს ყოველ-გვარ მოსალოდნელ ხიფათს თავი დაახწიოს. ჩვენს გაზეთსაც ეწვია, სრულიად მოულოდნელათ, 10 თუმნის ჯარიმა, მაგრამ ვინაიდან ესოდენი თანხა არ სჩვევია ჩვენს კასას, კეთილ-ინება ,,მათრახის'' რედაქტორმა ორის კვირით საგუბერნიო ,,ტუსალთ-საყუდელში'' გადაბარგვა. 17 თებერვალს გათავდა ვადა ტუსაღობისა და დღეს ჩვენი გაზეთი კვალად გამოდის ნათელზე.

რედაქცია ბოდიშს იხდის მკითხველთა და ხელის მომწერთა წინაშე ვისიც ჯერ არს იმათ მაგიერ და ეცდება ხელის მომწერლებს შეუსრულოს დანაკლისი ნომრები.

**ეშმაკის მათრახის რედაქცია.**

---

### ამონაკვნესი.

ქარო, დაჰბერე, ძლიერო,
გაჰფანტე ღრუბელთ გროვანი!
ცავ, გადიწმინდე, ბუნებავ,
შესწყვიტე კვნესა – გლოვანი!
ზღვავ, აბობოქრდი, აზვირთდი
და ააყენე ქაფები!
გულო, ატოკდი, აძგერდი!
ჩანგო, მომართე ძაფები!
ოცნებავ, ფრთები შეისხი,
გაიგდე სწრაფი მერანი!
და, მაჯავ, გულის ცემასთან
შეაწყვე შენი ძგერანი!
აღარ მინდიხარ, ზამთარო,
სუსხიან ტალახიანო!
მო, გაზაფხულო, ნორჩ ყვავილ
და მწვანე ბალახიანო!
თან მოიტანე სიცოცხლე,
თბილი და ტკბილი დარები!
ზამთრის სუსხისგან მწარნასმი
აი, რას გემუდარები!
არ მინდა არა, ზამთარი,
სუსხიან-ტალახიანი.
მსურს გაზაფხული ნორჩყვავილ
და მწვანე ბალახიანი.
დაჰბერე, ქარო, დაჰბერე,
გაჰფანტე ღრუბელთ გროვანი!
ცავ, გადიწმინდე! ბუნებავ,
ლხინზე შესცვალე გლოვანი!..

**ნ. ზომლეთელი.**

## მოგონება

### კედიოპოლის რევიზიისა

(გაგძელება)

მოწყალეო ხელმწიფევ, ბ-ნო ეშმაკო! თქვენ გამგზავნეთ კედიოპოლში სარევიზიოთ მხოლოდ დროებით. მაგრამ აქ იმ რიგათ არის საქმეები აწეწილ დაწეწილი, რომ ჩემი ერთი წლითაც დარჩენაც არ კმარა. ის კი არა, იმ ზომამდე არიან შევიწროებულნი ჩემ კანცელარიაში მომუშავე ეშმაკები, რომ სადაც არის ზაბასტოვკას გამომიცხადებენ. მუშაობენ ყოველ დღე და ღამ, აქაურ ვაჭრების გასართობებში მომუშავებზე მეტს—სულ ოც-ოც საათს. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ დამტოვოთ აქ რამოდენიმე თვით ხან და ხან დროგამოშვებით, თქვენც რომ გამოგვიქროლებდეთ, არ იზამთ ცუდს, აი ჩემი გამოკვლევანიც:

**სასწავლებლების გადატანა.**

აქაურ ადმინისტრაციას გადაუწყვეტია რეალურ სასწავლებლის, კლასიკურ და სათავად-აზნაურო გიმნაზიების ვიატკაში გადატანა, ჯერ-ჯერობით მოწაფეებს იჭერენ და ასახლებენ, შემდეგ მასწავლებლებს უპირებენ გადასახლებას, მსურველს შეუძლია თავის ნებით წავიდეს.

**მასწავლებლის დაკარგვა.**

დაიკარგა სათავად აზნაურო გიმნაზიის მასწავლებელი სერგო რობაქიძე. მთელი კედიოპოლი შემოირბინეს ჩემმა ეშმაკებმა და ვერ იპოვეს. თუ ვინმემ სადმე წააწყდეთ შეატყობინეთ მის ობლათ დარჩენილ მოწაფეებს. პოლიციაში არ იკითხოთ, თორემ თქვენც დაიკარგებით.

**ჯამაგირების მოკლება.**

აქაურ პოლიციის დაწესებულებებში მწერლებს ჯამაგირი მოუკლეს. ეს ზომა გამოწვეულია მით, რომ პოლიციას ძლიერ მომატებია ხარჯი კედიას აქ ყოფნით. და მართლაც მარტო მის მხლებელ ექვსი სტრაჟნიკის—მგელივით ვაჟკაცების—შენახვა რათ ღირს!

**სტრაჟნიკი—ცენზორი**

მაღლაკში სტრაჟნიკ სიმონას აუკრძალავს „ეშმაკის მათრახის“ და „აზრის“ კითხვა, რადგან მისი შეხედულებით ეს გაზეთები მავნე მიმართულებისაა. სხვა სოფლების სტრაჟნიკებს სიმონას აზრი დაუდასტურებიათ, უფროსი კი სიმონას მენდალზე წადგენას უპირებს.

**ქუთაითურ გამომცემლების საყურადღებოთ.**

თუ ვინმეს სურს გამოცეს ქუთაისში ძართულ ენაზე გაზეთი, უნდა იცოდეს წინდაწინ. რომ მას დასჭირდება დაქირავება ერთი მკითხველის სპეციალურათ ცენზორთან სავლელათ, რადგან აქაურ ბ. გამრეკლიძეს ქართული კითხვა დავიწყნია.

### გადასახადის შეკრება.

ქალაქის გამგეობა ფანცხავასი და კოტე ბაქ-ძის სპეციალური გამოკვლევების გამოქვეყნების მდეგ იმ დასკვნამდე მისულა, რომ ეკონომიური გომარეობა კედიოპოლის მცხოვრებთა, ამ რევო-ოუციის ხანებში, შესამჩნევათ გაუმჯობესებულა. ის და მიხედვით მას გადაუწყვეტია დღესვე შეუ-ეს ახალი და ძველი ადამ და ევის დროის გადა-ხადების შეკრებას, ამ გადაწყვეტილების სისრუ-ეში მოსაყვანათ ქალაქის თავის მოადგილეს ადმი-სტრაციიზა ორი სოტნა პლასტუნი მოუთხოვია. ხოვრებლები მთებში გახიზვნას აპირებენ.

— —

ყოველ წლივ აქ იმართება სადამო სათავად-ანაურო გიმნაზიის მოწაფეთა სასარგებლოთ. შარშა-ეც და წელსაც კაი ძალი ფული შეგროვდა. აგერ რი კვირა ვკითხულობთ და ჯერ კიდევ ვერას გზით ერ გავიგეთ ან სად ინახება ეს ფულები ან რაზე ხარჯება.

— —

### ქუთაისის პედაგოგები.

ამას წინათ ქალაქის დაბალი სკოლების მას-წავლებლების თაოსნობით გაიმართა საღამო მომა-ალი პედაგოგიური მუზეუმის სასარგებლოთ. ხალ-ი ბლომათ დაესწრო. მხოლოდ საშუალო სასწავ-ლებლის მასწავლებლებს დიოგენის ფარნებითაც ვერ ონახავდით. როგორც გავს, მათ არავითარი პედა-გოგიური საქმე არ აინტერესებს

### ახალი წიგნი.

ამ დღეებში გამოვა იოსებ ოცხელის ახალი წიგნი, ქართულ ენაზე, ღენერალ სილოვანის წინა-სიტყვაობით. წიგნის საგანია – გამოკვლევა რუსეთის რევოლიუციის ძირითადი მიზეზების, დიდი ფიქრი-სა და ესფერების ნაწარმოების შესწავლის შემდეგ, პატივცემული ავტორი იმ დასკვნამდე მისულა, რომ რევოლიუციის ერთად ერთი მიზეზი რამოდენიმე კაცის (ქართველი ს. დ. რასაკვირველია) პირადი ინტერესებია, ფარისტები ამ წიგნს თავის ხარჯზე ცემენ. ამ წიგნის შინაარსი ჩვენ პესტალოცს უკვე გაუცვნია მოწაფეებისა გეომეტრიის ერთ ერთ გა-კვეთილზე.

### ჭიდაობა.

ქუთაელთა აზრი დღეს ჭიდაობითა და კერ-ძოთ მოჭიდავე მაისურაძითაა შეპყრობილი. სადაც უნდა წახვიდე ან ვისაც უნდა დაელაპარაკო ყვე-ლა ჭიდაობაზე ლაპარაკობს. ესფერები აგერ გაგიჟდებიან, რადგან ქართველ მოჭიდავის დამძლე ვერავინ გამოჩნდა. აღფრთოვანებაში მოუყვანია ფა-რელები მაისურაძეს, როდესაც განუცხადებია რომ მე ქართველი ვარ და ქართველს არ ვეჭიდავებიო. როგორც გავს ჭიდაობას დიდი გავლენა მოუხთე-ნია აქაურ გიმნაზიელებზედაც: ყოველ დღე ყოველ კლასში იმართება ჭიდაობა. მოჭიდავენი ტომრებით იმოსებიან, პრემიათ შაურიანი ბულკია დანიშნული.

### შანტაჟისტთა პროტესტი.

ამას წინათ გაზეთი „Жизнь и Школа“-ში მო-თავსებული იყო წერილი ქუთაისიდან, სადაც ავტო-რი, არ ვიცი რა მოსაზრებით, ქებათა ქებას ასხამ-და სათავად-აზნაურო გიმნაზიას.. კორესპონდენცია-ში სხვათა შორის ნათქვამი იყო, რომ, მაშინ რო-დესაც სხვა სასწავლებლებში შანტაჟი და სხვა გარ-ყვნილობა გავრცელებულია, სათავად-აზნაურო გიმ-ნაზიის მოწაფეები ანგელოზებიაო. ეხლა როგორც დანამდვილებით გავიგეთ, სათავად-აზნაურო გიმნა-ზიის მოწაფე-შანტაჟისტები შეკრებილან და ერთ-ხმივ დაუდგენიათ: უსასტიკესი საყვედური გამოეც-ხადოს ავტორს ჩვენი უყურადღებოთ დატოვებიზაო.

### მეეტლების მამითადი.

ქუთათელი მეეტლები ძლიერ ემდურიან ექიმ გოკიელოვს. პატივცემულ ექიმს ჩვეულებათ ქონია თურმე, თუ ვინიცობაა პაციენტი ღარიბი გამოდგა და მისი გადაწყვეტილი ტაქსა ვერ მისცა, შუამავ-ლათ მეეტლები აგზავნოს. თითონ ცხენებს ყარა-ულობს, მეეტლე კი ვალდებულია მანამ არ მოცილ-დეს პაციენტს, სანამ ფულს არ მიიღებს. ექიმი გო-კიელოვი ჩვენ უპრავაზე გულ-კეთილი კაცი მაინც ყოფილა: ეს მეეტლის საშუალებით ღებულობს ფულს უპრავისტები კი კაზაკების საშუალებით აპი-რებენ გადასახადების შეკრებას.

**რევიზორი — ეშმაკი.**

---

## სიზმრის ახსნა.

1) **აკაკი იხილო „ჩონგურითა კედელთა შორის მიკრულითა“** ფრიად სამარცხვინოა. ჟამსა რომელსა, შემდგომ ხილვად სიზმრისა ამისა წინაშე საზოგადოებისა მის წარადგინო „თამასუქი იგი ძველი“ ხალხისა თქმულებისა მიხედვით ნიშანი აზრთა ახალთაგან კოტორყოფისა.

სხვათა დროთა შინა „სიზმარი“ ესე ნიშნავს ჟამთა იმგვართა დამყარებასა, ოდესცა, ჩანგი მგო-სნისა დიდებულისა „აეღერდეს“ ხმითა, თვინიერ ციურისა, სიმდაბლითა ყოველთა გამომხატველითა.

2) **კბილი იხილო თეთრი ბროლოვანი**— სახიფათოა: გამოცდილებათა მრავალთა მიხედვითა ღაღად ვყოთ ყოველთა მიმართ: ხილვა კბილისა ბროლოვანისა მომასწავებელ არს გულისა შავისა, ბოროტებითა აღსავსისა.

3) **კაჭკაჭი იხილო უკუდო სიტყვისა ერთისა მუდამ ჟამს მოუბარი.** —საცინელია: სიზმარი ესე

არა არს არცა ვითარი ხიფათისა მომვლინებელი,
რამეთუ მოასწავებს უბადრუკსა ვინმეს ოხუნჯსა
ერგნელად სახელ-დებულსა,
გოთუას თანა გდებულსაა
აზრთაგან გადაღებულსა,
მარადის პირდაღებულსა,
„მოღვაწეთ“ გასაღებულსა,
გაზეთში თავ-აშვებულსა,
ნამდვილ კი წყალ-წაღებულსა.

## მესტვირული.

**კუჭი ,,ფარელთა''.**

ბოდიშს მოვითხოვ მკითხველთა,
ვსტოვებ რა პიროვნებათა,
და სტვირსა ავაღიღინებ
,,ფარელთა'' **კუჭის** ქებათა
გარქმევთ რაოდენს გადანთქავს
წლიურად ქანქარებათა,
უმაღლესიდან დავიწყებ
ძირს, დაბლა დასაშვებათა.
,,ბურჯებსა'' ჩვენი ქვეყნისა
ზნეობა დასდევთ საძრახი,
პოლემიკაში მუდამ ჟამს
**კუჭი** აქვთ წამოსაძახი.
ჩასციებიან ამ სიტყვას
ვით მოკამკამე ჩათლახი,
და ამან გამაბედვინა
გადავკრა თითო მათრახი.
იფიქრებს ვინმე: ,,არა აქვს
კუჭი ამ ჯიშის ცხოველსა,
და კმარობს მარტო ,,**მაღალი**
**სიტყვების მოსაძოველსა**''.
მე კი შემცდარსა ვუწოდებ
განურჩეველად ყოველსა,
თანა არს ზემოთქმულისა
აზრი მას ჰქონდეს რომელსა.
,,ფაროსანიძეთ'' კუჭებსა
არცა ყავთ ჩვენში ბადალი,
მო, ყური მიგდეთ, მოგითხრობთ
რასა ნთქავს მათი სარდალი,
რამდენი ლუკმა მრუდია,
რამდენი ალალ-მართალი,
ვინ არის მათი ,,ობექტი''
თუ ,,დუმა'' ჩამოსათალი.
შავ-ქვათა მეფე **გიორგის**
კუჭი ვერ იტყვის მცირობას,
(ჩვენში არცა ყავს ბადალი
მოგცემთ ამისა პირობას!).
ნთქავს **ხუთი ათას** ქანქარსა
არცა გრძნობს გასაჭირობას
ზოგჯერ **რვაასსაც** დაატანს
(ეს მხოლოდ ქვათა ძვირობას!)
**სილოვან** „ორჩოფეხოვანს''
კუჭი აქვს მეტათ მაგარი,
თამამათ ჩადის სკოლიდან
შავი დღით ამონაგარი
**სამი ათასი, ოთხასი,**
**და კიდევ ოცი** ქანქარი
(გთხოვთ ესე ჩემი თქმულება
არვის გეგონოთ ზღაპარი!)
ალბათ გსმენიათ **ფანცხავა,**
ესეც ,,ფარელთა'' ჯიშისა,
**ორ ათას ორას** ქანქარსა
ყლაპავს მექონე ნიჭისა
და ითმენს კუჭი იმისი
ფიქრი არა აქვს შიშისა,
(ქალაქის კასის მახლობლათ
ტყვილათ არ დაინიშვნისა).
,,ჩვენი'' **იასონ** ბაქრაძე
და **ყიფიანი** ,,ფარელი''
**ორ ორსა ათასს** ჩანთქავენ
ორივ კუჭ გასახარელი.
**კრინიცკი ათას ხუთასსა,**
კაცია დაუზარელი
პოლონელების ჯიშისა
ქართველათ შესაყვარელი.

...ე **ბაქრაძე**, მერწმუნეთ,
...არის გამონარჩენი,
...ას **ხუთასი** ქანქარი
...აც აქვს ,,გამოსარჩენი''.
...ალიანი დათიკო
,,პრესაში'' გამონაჩენი
**...ათას ორასსა** იტვირთავს
...არ გამიწყრების გამჩენი.

—

ესე რვა ქვეყნის მნათობი
,,**ყველა უკუჭოთ შობილა**''
სულ ჩანაბერი უფლისა
თიხისგან გამოცხობილა,
,,კუჭის საკითხი'' ამათგან
მრავალჯერ გადაგმობილა,
მაგრამ **მათ კუჭში** ესოდენ
ქანქარი გადაშობილა.

**ეშმაკი.**

---

## ქ უ ჩ ა ზ ე.

ქუჩის აღზრდილმა, ქუჩაზედვე დალია სული:
აქ იყო მისი ასპარეზი, მუდმივი ბინა,
აქვე დაეცა მტარვალთ ხელით გულ-განგმირული,
უმანკო სისხლით მორწყო იგი და მიიძინა!

ცოტა იცოცხლა, ბევრი ჭირი გამოიარა,
მაგრამ მას ქედი არავის წინ არ მოუხრია,
თუმცა ღრმა იყო მისი გულის წყლული, იარა,
მუდამ მხნეთ იყო, ცხარე ცრემლი არ დაუღვრია!

რა გადიკითხა მან რვეული ჩვენი ცხოვრების,
გაიცნო მისი შინაარსი, მიმართულება,
მყისვე ამართა დროშა მხსნელი დაჩაგრულების,
ზედ დაწერა: ,,ძირს მტარვალი! ძირს ბოროტება!''

მას აქეთია აქ, ქუჩაზე, იბრძოდა იგი,
აქ იყო მისი ასპარეზი, მუდმივი ბინა,
აქვე დაეცა განგმირული, როგორც ტარიგი,
უმანკო სისხლით მორწყო იგი და მიიძინა!

**ვ. ჩახრუხაძე.**

## ნიკოპოლი.

(ძველათ სოხუმი)

მომწყინდა ნავთსადგურში დგომა და მეც, გადავსწყვიტე ქალაქში გასეირნება. ხელთ კავზნდი ნიკოპოლის უმთავრეს ქუჩაზე. შაბათი სადმო იყო. განსაგონი მქონდა იქ მრავალთ იერის ხალხი თავსო და მეც, შევიდე ერთი უავხანის კარები. მივიარ-მოვიარე, მაგრამ დასაჯდომი ვერ ვიშოგე. ვიფიქრე ჩაის მოვითხოვ, იქნებ სკამი მოშტენ მეთქი, მარა საუბედუროთ კარშიც კანდამ კამგდეს (რადგან კარტი არ მოვითხოვე!)... ჩქარა დაშანებეს თავი, (ალბათ „სპერმაკუდინის“ სუნი თუ ეცთ). ამ დროს ერთმა ნოქარმა დაიბერტეა კალთა, გადმოაბრუნა ჯიბე, საშინლათ დამწუხრებული მიბნედილი თავლებით კარში გამოვიდა. მეც ვიშოგე დრო და დავსკუნდი სკამზე. გახურებული თამაში იყო. ხელებს უწყალოთ აბარტეუნებდენ სტოლებზე. კარტი, ნარდი, დოტო, დომინო, შეუსვენებლივ ტრიალებდა. მე ავდექი, გამოვედ ქუჩაში და ნელათ ჩავადიდინე:

უავხანაში შევედი
იქ ხალხი მიმართულიეო,
მუნ ისხდენ მრავლათ ნოქრებიც,
თამაში გამართულიეო!
ზოგი ნარდს უსხდა, ზოგი კარტს,
დოტო, დომინოც მუნ იეო,
მეწეინა ძალიერ... მათრახი
თუ არ სჭირდეთ კრულ ვიეო!..

უავხანები აქ ბევრის ბევრი გახლავთ, მაგრამ მე საჭიროთ არ ვსცანი სხვაგან შევდა, ვინაიდან იქაც იგივე სურათი შემხვდებოდა...

* * *

აქედან სასტუმრო „ჰურდვინოში“ შევიარე. მუნ რამოდენიმე ფედერალისტი შეკრებილიეო, („სუკეთესო“ არ გეგონოთ, მათი „ზოზოშნიკი“!) სტოლს მოსხდომოდენ და ანწოთ ტრიალი სწარმოებდა. „საქართველოს გაუმარჯოს“ ძახილი არემარეს აერეებდა. მაგრამ არც „ესდეკები“ დაეიწუებინათ და მათაც უძღვნიდენ „ლგუნიასებურ“... „ბამფლეტებს“... ხაზეინი ნესტორიც „ბეზუსლოგნო“ მათ ეთანხმებოდა. ძალიერ მომეწონა ასეთი ამბავი, მინდოდა დავრჩენილიეავ, მაგრამ დრო ნებას არ მაძლევდა. მეც გადავწყვიტე ეშმაკის „სამთარახოთა სიაში“ მომექცია მათი ანწოსნობა და თვითონ ქალაქის „სავათმეოფოსკენ“ შევეეი.

* * *

სადმოს უკვე რვა საათი იყო. ასე, რომ „სავათმეოფოში“ „ოფიციალურათ“ ალარც კი მიმიდებდენ. მეც იძულებული ვიეავი უხიდავთ ვქცეულიეავ, თუმცა კი მინდოდა შემეტეო, „უბრალო ბოსეტიტელებს“ როგორ ეპურობიან.

მივიდე თუ არა უხიდავის სახე, ხელათ ჩავეშვი სავათმეოფოს ეზოში. მივიარ-მოვიარე. სარდაფიდან საშინელი კვნესა მოგესმა. თურმე მომაკვდავები განესვენებიათ და სიბრალეები საზარლათ გმინავდენ. ვეღარ გავძელი და სავათმეოფოში შევედი. ერთ ოთახში მოსამსახურე ქალებს ავათმეოფოთა დოგინებზე კარტი ეკეშალათ და ერთობოდენ. სიბრალო ავათმეოფები კი მწარე ხმით მოსთქამდენ: ზოგი წყალს თხოულობდა, ზოგი წამალს, ზოგს გული უწუნდა, მაგრამ... „არსიდან ხსნა, არსაით შველა“!...

კავედი მეორე ოთახში. აქაც იგივე. მოეეარათ თავი ათამდე მოსამსახურეთ და „ვარჯიშობა“ კეემართათ. ერთ უმწეოს წეკეაბიწეებია და როგორც დაგეშილი ხარი ხან ერთს ანარცხებდა იატაკზე და ხან მეორეს. გუ-

ლით ვინატრე ერთი მათრახის კუდი ამ ახირებული უმაწვილებისათვის, მაგრამ სად იყო!!.

აქედან მესამე ოთახში შევძვერი. იქ სულ აღარ იყო მოსამსახურე. შევჩერდი, მყუდროებას არავინ არღვევდა. ვიფიქრე ალბათ არავინ არის მეთქი და ის იყო ვაპირებდი გამოსვლას, მაგრამ ამ დროს კუთხეში, ერთ ჭუჭყიან ლოგინზე თვალი მოვკარ ორ, სანთელივით ჩამომდნარ არსებას. მივედი ახლოს. რაღაცას ლაპარაკობდენ. გავნაბე სული და ყური დაუგდე.

— რამდენი დღეა რაც ექიმი არ ყოფილა? იკითხა ერთმა ნელი მისუსტებულის ხმით.

— მგონი მეოთხეა! მიუგო მეზობელმა. მერე რა? რომ დადიოდა რას გიკეთებდა? მე უკვე თვენახევარი ვარ აქ და მახსოვს, ერთხელ მომკიდა მაჯაზე ხელი და რა გტკივაო, მკითხა.

— რამე საჭმელი მოგიტანეს დღეს? იკითხა პირველმა.

— არ მახსოვს!.. რაღაც მომიტანეს მგონი, მაგრამ ვერ ვჭამე... არ ვარგოდა!

დამწუხრებული გამოვედი „საავათმყოფოდან“. მხოლოთ მით ვიმაგრებდი გულს, რომ არც ისე შორსაა ის დღე, როცა „საავათმყოფოს“ ბატონ პატრონთა ზურგზედაც გაინავარდებს „მათრახი ეშმაკის“.

**კონტრ-კრეი'ერი.**

# ბ ა თ უ მ შ ი

### ქანქარის მაძიებელნი.

ბათუმის თვითმართველობის
„კასა“ რომ ცარიელია,
და თავენი მასში ხრაგუნით
ვერ არის მადლიერია;
ქალაქის თავი ქანქარის
მუდამ რომ მაძებნელია,
ესე ამბავი ცნობილი
არ ახალია, ძველია...

შემოკრბენ სათათბიროთა
ქალაქის ბრძენი მამები,
ფულების შოვნა სწადიან,
საქმე აქვთ საჭოჭმანები.
იფიქრეს... ბევრი იფიქრეს,
აქნიეს ბრძენი თავები,
ოფლი დაღვარეს უზომო,
შეიქნენ განიწამები.
და მოიაზრეს: გატანილ
თუ თითო ფუთსა ნავთზედა
ნახევარს კაპიკს მისცემენ,
არ გადგებიან ვარზედა,
მაშინ ბათუმის ბედ-იღბალს
ძაღლიც არ დაჰყეფს მურია,
ყველა გაძღება, არავინ
დარჩება უმადურია.

რა ფულის წყაროს მიაგნეს,
ილხინეს, გაიხარესა,
მეტის-მეტ ნეტარებითა
ცხარე ცრემლები ღვარესა.
ქალაქის თავი ფიცხელათ
პეტერბურგს გაამგზავრესა..
თითონ მინისტრთან ის საქმეს
გაჩარხავს, მოაგვარებსა.

—

პიტერს ეწვია ივანე,
თავი ქანქარის მდომელი,
მინისტრს წარუდგა ნახევარ
კაპეიკისა მთხოვნელი.
მას მიუთითეს ბაქოზე,
უთხრეს: იქ მიიქეცითო,
კაპიტალისტის სურვილებას
ჩვენ წინ ვერ აღუდგებითო.

მოჰქრის ივანე ბაქოსკენ,
იმედი გულს არ უქრება,
ნავთისა მწარმოებლების
„სიეზდზე“ მიეშურება.
და წინ წარუდგა ნავთის ტუზთ
მდაბლათ თაყვანის ცემითა,
და მოახსენა: „ბატონნო,
ფულისთვის გეახელითა.
შემოსავალი ქალაქის
ჯამაგირზედაც არ გვყოფნის,
აი რა რიგათ დავეცით,
აი, მომსწრე ვართ რა ყოფის!..
ბევრს არ ვთხოულობ, ნახევარ
კაპეიკის ვარ მთხოვნელი,
ვარს თუ არ გვეტყვით, მუდამ ჟამს
ვიქნებით თქვენი მლოცველი.
გვიქენით საქმე სამადლო,
ისმინეთ ჩვენი ვედრება,
თქვენთვის ეს არაფერია,
ჩვენ კი სულ ბოლო გველება.
მოხედეთ ჩვენსა თხოვნასა,
მოგვმადლეთ სიხარულია,
რასაცა გასცემთ, თქვენია,
რაც არა დაკარგულია“.

თქვა და ჩამოდგა ივანე.
ზეზე წამოდგენ ტუზები
და მოახსენეს: „კნიაზ-ჯან,
სწორედ ხარ საპანღურები.
ეს სადაური ქკუაა
ჩვენ თავს ვადებდეთ ხარკებსა!..
ჩვენ ამნაირის ჭკუითა

არ ვაწარმოებთ დავთრებსა".
თქვეს ეს ტუზებმა და თავსა
ქანქარის მაძიებელსა
ხარხარით, ბრანწის ჩვენებით
ქოქოლა მიაყარესა...
მოჰკრის ივანე ქვემოთკენ,
დამწუხრებულის გულითა
და მოგვევლინა უფულოთ
თავის მალულის ქუდითა.

კენტი.

## ცხელ-ცხელი ამბები
(რუსეთის ცხოვრებიდან).

მართლა ცხელ-ცხელი ვერ არის ჩვენი ამბები, კაი ხნის დამჟავებულია, მარა ეს სრულიადაც ჩვენი ბრალი არ არის. ჩვენმა რედაქტორმა გააჭივრა საქმე—„ოტპუსკი" და „ოტპუსკით'' და მიიღო კიდეც. ჩვენმა რედაქტორმა ორი კვირით დაისვენა. რასაკვირველია, რედაქტორთან ერთათ ჟურნალმაც დაისვენა (ურედაქტოროთ ჟურნალი აბა ვის გაუგონია?!) ამ ხნის განმავლობაში, რასაკვირველია, ბევრი შესანიშნავი ამბები მოხდა. (მაშ რედაქტორის გამოსვლას ხომ ვერ დაუცდიდენ ამბები?) მოხდა და დამჟავდა კიდეც, მარა ჩვენ რომ ეხლა ეს ცხელ-ცხელ ამბებათ გავახსენოთ მგონია არავინ გვიწყენს. ვისაც უნდა ცხლათ მიიღოს და ვისაც უნდა დამჟავებულათ. ეს მათ ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

რადგან სახელმწიფო დუმა ოდესღაც მთელი რუსეთის ხალხის ყურადღებას იპყრობდა მეც დუმიდან დავიწყებ ამბებს: იმ დროს, როცა ჩვენი რედაქტორი ,,ოტპუსკში'' იყო და განცხრომით განისვენებდა სახელმწიფო დუმაში სამი ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა:

**დეპ. შმიდის დუმიდან გაძევება.** როგორც იქნა ბოლოს სახელმწიფო დუმამ გამოიჩინა მოქალაქობრივი სიმამაცე და მინსკის დეპუტატი შმიდი დუმიდან გააძევა. შმიდი დღეს დუმის დეპუტატათ აღარ ითვლება. ასეთი სასტიკი განაჩენი შმიდს სულ უბრალო დანაშაულობისთვის გადაუწყვიტეს. მას აბრალებდენ სახელმწიფო ღალატს (ასეთი დანაშაულობა აბა რა სათქმელია?!) რაღაც სამხედრო გეგმის ქაღალდები გადაუცია უცხო სახელმწიფოსთვის და ამ უბრალო საქმისთვის დუმიდან გააძევეს. იმედს მაინც არ კარგავს თურმე შმიდი და აზრათ აქვს ხელმწიფეს მისცეს თხოვნა, რომ ეპატიოს დანაშაული.

**რევოლიუციის მიერ დაზარალებულთა დახმარება.** დიდი ხანია დუმის მემარჯვენე დეპუტატები ელოდენ მარჯვე დროს, რომ დუმაში წამოეყენებიათ საკითხი რევოლიუციის მიერ დაზარალებულთათვის სახელმწიფო ხაზინიდან ფულის გადადების შესახებ. ეს მარჯვე დროც დაუდგათ და საკითხიც წამოაყენეს. ამ კრებაზე, რასაკვირველია, მემარჯვენეებმა ბევრი ტყვია-წამალი დახარჯეს რევოლიუციის წინააღმდეგ, ბევრი ილანძღეს და ბოლოს მიაღწიეს სურვილს. დუმის უმრავლესობამ ზიზღი და აღშფოთება გამოაცხადა ტერორისტულ აქტების წინააღმდეგ და კანონპროექტი პიროვნების ხელშეუხებლობის შესახებ კომისიას გადასცა.

**კანონპროექტი მემარცხენე დეპუტატების შესახებ.** ამ გამარჯვებით წათამამებულმა მემარჯვენეებმა განიძრახეს წამოაყენონ დუმაში შემდეგი კანონ-პროექტი: დუმის მემარცხენე დეპუტატი, რომელიც მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვას წარმოსთქვამს კრების დროს სასტიკათ დაისაჯოს. უკიდურეს შემთხვევაში სულ გააძევონ დუმიდან. ამასთანავე სასტიკათ აეკრძალოს დეპუტატს, სანამ ის დეპუტატის წოდებას ატარებს, საზღვარ გარეთ წავიდეს და გააცნოს უცხოელებს რუსეთის შინაური მდგომარეობა.

დუმის გარეთაც არა ნაკლები სენსაციური ამბები მოხდა. ამათაგან აღსანიშნავია შემდეგი:

**გრ. ბობრინსკი მინისტრის ამხანაგათ, კრუპენსკი გუბერნატორათ.** სატახტო ქალაქებს გაზეთებმა დაუჯერებელი ამბავი მოგვიტანეს ხმები გავრცელდა გრ. ბობრონსკის (უკიდურესი მემარჯვენე) შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგათ ნიშნავენო. ხოლო კრუპენსკის („რუსთა კავშირის' წევრია) ჩრდილოეთის ერთ ერთ გუბერნიის გუბერნატორათო. მართალია ეს ხმები დაუჯერებელია, მარა იმავ დროს რომ ეს ასე მოხდეს გასაკვირალი არ იქნება. არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ პურიშკევიჩი სახალხო განათლების მინისტრათ დანიშნონ, მოღალატე შმიდი სამხედრო და შეღგინი იუსტიციის მინისტრებათ, ხოლო ცნობილი დეკანოზი ვოსტორგოვი პეტერბურღის მიტროპოლიტათ.

**რუსთა კავშირის სიეზდი.** 16 თებერვალს პეტერბურგში გაიხსნა „რუსთა კავშირის" სიეზდი. სიეზდი შეუდგა „შინაურ საქმეების" მოწყესრიგებას, რადგან იქ ძალიან ათორიაქებული აქვს. არევ დარევის მიზეზი პურიშკევიჩის და დუბროვინის შორის მომხდარი ინციდენტია. „შინაურ საქმეების" განხილვის შემდეგ სიეზდი შეიმუშავებს სხვა და სხვა ზომებს სრულიად რუსეთის კეთილდღეობისთვის.

**პორტ-არტურის გმირის სტესელის დასჯა.** როგორც იქნა სამხედრო სასამართლომ დაასრულა პორტ-არტურის გმირ გენერალ სტესსელის საქმის გარჩევა. სტესსელს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, მაგრამ შუამდგომლობენ, სასჯელი აპატიონ. რასაკვირველია აპატიებენ.

**შეთქმულობა.** ამ უკანასკნელ ხანებში პეტერბურგში საიდუმლო პოლიციის წყალობით შეთქმულობა აღმოაჩინეს. შეთქმულებს უნდოდათ მოეკლათ დიდი მთავარი ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე, იუსტიციის მინისტრი შჩეგლოვიტოვი და მრავალი სხვა უმაღლესი პირ-

ნი. რასაკვირველია მათ თავიანთი ბოროტი განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს, სამაგიეროთ მათ შესახებ უკვე მოიყვანეს სისრულეში განაჩენი და ზოგი მათგანი უკვე დასჯეს სიკვდილით.

**გენ. ტოლმაჩევს სიკვდილი გადაუწყვიტეს.** ს.-რევოლიუციონერთა პარტიის, ეგრეთ წოდებულ, „მფრინავ რაზმს“ ადესის გენერალ გუბერნატორ გენ. ტოლმაჩევისთვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტია. თავის გადწყვეტილება რაზმს ერთ თავის წევრისათვის მიუნდვია. ის ამდგარა და ტოლმაჩევისთვის წერილი მიუწერია გადი ადესიდან და ორივე გადავრჩებით უსიამოვნობასო. ტოლმაჩევი რაზმელზე უფრო მამაცი აღმოჩნდა და განაცხადა ფეხსაც არ მოვიცვლი ადესიდან და ვნახოთ ვინ რას მიზამსო. რასაკვირველია ისეთი მშიშარა რაზმელები, როგორც ზემოადნიშნული ეოფილა გენერალს თითსაც ვერ დაკარებენ.

**ქურთიძე.**

# ორი ეშმაკი

(ლექსთა სროლა)

**პირველი.** სათათბირო აიკლეს,
ბარონებმა, გრაფებმა,
**მეორე.** ჩვენი თფილის ქალაქი
სინემატოგრაფებმა

—

**პირველი.**—კაცი რომ მოხუცდება
ტვინის კანი უცვდება
**მეორე.**—მაღლა შედგმული ფეხი
დაბლა ჩამოუცდება.

—

**პირველი.**—ფანჯარაში მტრედია
ნეტა ვისი ბედია.
**მეორე.** — ქუთაისის მფარველი
ბოქაული კედია.

—

**პირველი** —ერთი რამა ,,სულიერი“
თურმე ქვეშ-ქვეშ მძრომელია
**მეორე.**—,,ნიშადურში“ ,,მეთაურს“ წერს
როგორ გითხრა რომელია.

## ს ი მ ღ ე რ ა.

აჰა, ელია მელია,
ჯერ ჩავიწმინდო ყელია,
რომ კვლავ ვიმღერო ტკბილი რამ
ახალი, არა ძველია.
მე ტკბილს ვეძახი, მკითხველო,
შენ ეგებ მითხრა; „შხამია!“
დროს დააბრალე ეგენი,
მე რა ვქნა, ჩემო ძამია!..

—

წელში მოხრილი, ჩოფანო,
ქალამნებ გაცვეთილია,
კისერ ჩამწვარი, ცხოვრების
ეგ უკანონო შვილია,
გლეხს ეძახიან, ხან გლახას,
პირშიც არ ერიდებიან,
ამავ დროს მისი ნაოფლით
სვავ-ყორნებივით ძღებიან.
მას აწვებიან,—ის ქედს ხრის,
მიწას აშტერებს თვალებსა,
მიწას, რომელსაც ის ნატრობს
სამოთხეს ანაცვალებსა!..
სდგას, როგორც ბნელი აჩრდილი
ადამიანის სახისა,
უმზერ და გული გიკვდება:
უმადური ხარ ნახვისა,
იქ, სადაც ქრისტე მაცხოვარს
თვის კალთა დაუბერტყია,
ფიქრობ: „იქ ვნახავ ბედნიერს“...
მიდიხარ — გხვდება ტეტია.
კოლხიდა „ოქროს მატყლითა“
საზღაპრო ბუნებისაა
—„იქ მაინც ვნახავ“... მიდიხარ...
და იქაც ისევ ისაა:
ბნელში მყოფისთვის „სინათლეს“
თვალი ვერ აუხელია
და საშაიროც გამხდარა
„სესია“, ანუ „ჩელია“.
მას დაკორძილი ხელები
მკერდზე ჯვრათ დაუჭედია

და მტრისთვის შიშის მომგვრელი,
ძირს დაუხრია ქედია.
და ფიქრობ გულში: „სიბნელე
სიგლახის წარმომშობია,
თორემ ამნაირ ყოფნასა
არ ყოფნა არა სჯობია?!“

—

აჰა, ელია მელია,
ჩონგურს გაუსვი ხელია,
მინდა სხვა საგანს შევეხო,
ქვეყენა ერთობ ჭრელია
ნაირ-ნაირი მოვლენა
ურიცხვი, ულეველია
და სჯობს ყოველგარ სათქმელის
თავთავის დროზე მთქმელია.

—

აგერ ულვაშებ გაწკეპნილს
უხდება კოხტა წვერია.
მხიარულია, იცინის,
თითქო აქ არაფერია.
წელსა ხანჯალი უმძიმებს,
ხმალიც კი დაუკიდია,
თვისი კაცური ღირსება
ფულებზე გაუყიდია.

—„კნიაზ აქ მოდი!“—ის მიდის,
—„წადიო“, ბატონს შორდება
ფიქრობს, რომ იცავს თავის „მეს“
და აი, როგორ ღორდება!
არც კი მიიხვდენს, გარწმუნებთ,
რომ ჰკითხოთ, როგორც წესია,
რომ ამ ყოფნაზე, „არ ყოფნა“
ათასჯერ უკეთესია.

და კვლავ ელია მელია,
ჩონგურს გაუშვი ხელია,
შევჩერდი, მაგრამ დროებით,
რომ ჩავიწმინდო ყელია...

**ნ. ზომლეთელი.**



**სახ. დუმის მემარჯვენე გლეხები და აგრარული საკითხი.**

## ხოტბა ერთი ფოთელი გვამისა.

პაწაწინა კაცუნ-კოჩო, ურცხვო, მასხარაო!
სთქვი, სინდისი არ გქონია, თუ სხვამ მოგპარაო?
ვინ გასწავლა ეგ ჩურჩული უფროსთა ყურშიო
და დიმიტრის რატომ ახლდი, რა გქონდა გულშიო?
განა ფიქრობ, არ ვიცოდეთ, თუ რამ აგრიაო?
ვისი ,,მადლით გაათავე'' სემინარიაო!
იკურთხოს მღვდელ მონაზონი მამა ტიტიკოო,
შენი მწვრთნელი და მფარველი მუდამ ის იყოო...
კლასით კლასში მიგათრევდა უნიჭო ბიჭსაო,
თორემ შენ ვერ გადასდგამდი წინ ერთსა ბიჯსაო.
და რა იგდე ხელთ დიპლომი გულსა გეფონაო.
დიპლომიანს შენი თავი ბრძენი გეგონაო.
მაშინათვე გამონახე საშენო ბინაო...
პოლიციის ფრთეთა ქვეშე გსურდა გელხინაო.
თქმა არ უნდა ამისათვის ნიჭიც შეგწევდაო,
ჯაშუშობის კარგათ ცოდნა რაკი თან გდევდაო...
მაგრამ იმ დროს შენსა აღას ტიტიკო ბერსაო
დიდკაცობა ზიუბოძეს ჩვენსა მხარესაო.
შენც მის კალთას მიაშურე, მისმა წიწილმაო
და კარგადაც ,,იმოღვაწეთ'' მამამ და შვილმაო.
წინ წაწევის დიდკაცობის გქონდა იმედიო,

მაგრამ ბოროტს თურმე მუდამ არ სწყალობს ბედიო...
უცებ დაჰკრეს განახლების ბუკი ნაღარაო...
შენ და შენი აღა შიშით გახდით ჭაღარაო.
აეხადა თქვენს ,,ნაღვაწსა'' ფარდა ნიღაბიო
და საქვეყნოდ გამომზეურდა თქვენი ქითაბიო
შენი აღა გაიპარა—დარჩი მარტოკაო,
გამვლელის და გამომვლელის იწყე ფეხთ ლოკვაო.
და ამ ხერხით მაშინ კიდეც აგცდა სასჯელიო,
მაგრამ გველი გველათ დარჩი უნდო და ჭრელოო.
გველ-მზაკრობით, მელიობით წინაც წაცოცდიო,
გუშინდელი გველაძუა მზეზე გამოდიო!
ან რა გიშავს, ამინდი ხომ ერთობ კარგი გაქვსო
და ახალი მბრძანებელიც მადლიერი გყავსო!

**პილპილი.**

## შეკითხვები.

(ბათუმიდან)

მოეხსენება თუ არა ,,ეშმაკს'', რომ ბათუმში 14 იანვარს გამართულ ქართულ საღამოზე სკოლის სასარგებლოთ რამე-რუმეების ზოგიერთმა გამყიდველებმა აღებული ფული ქე იმასქნეს!.. და თუ მოეხსენება ეს, რა ზომების მიღებას აპირებს იმათ შესახურებლათ?

**კვინწარი.**

**პასუხი.** ფიცხლავ მიერთმევა მათ ჯერ-ჯეროობით სამი ყანწი კუდინი ერთბაშად გადასაკრავთ და თანაც ფიცხელი მოწერილობა გაეგზავნება სკოლის კომიტეტს, რომ შემდეგ საღამოზე ეს ,,ზოგიერთნი'' არ მიაკარონ საღამოს.

**ეშმაკი.**

2

მოხსენება თუ არა იმავე ,,ეშმაკს'', რომ იმავე საღამოზე ზოგიერთი ნივთები, ლატარიაში სათამაშოთ ჩაგდებულნი, იმათ ჩაუვარდეთ ხელში, ვისაც ეს ნივთები მეტის-მეტათ მოეწონათ და ვინც წინ-და-წინ გამოსთქვამდენ სურვილს, რომ ნეტავ ეს ნივთები მე ამომივიდოდესო? თუ მოეხსენება ეს, ამ არსებათ წინააღმდეგ რა ზომების მიღებას აპირებს?

**კვინწარი.**

**პასუხი.** ერთი დიდი კუდი მათრახისა მათ ზურგზე. გარდა ამისა, თუ ვინმეს აბრეშუმის საკაბე, ან საბლუზე ერგო ამ გზით, ჩამოერთვას ის და შემდეგ საღამოზე გათამაშდეს. თუ ეს არ მოხერხდეს, როცა შეიკეროს და ჩაიცვას, საჯაროთ ტანზე შამოახიოს კომიტეტის მთელმა ,,სოსტავმა''.

**ეშმაკი.**

3

მოხსენება თუ არა იმავე ,,ეშმაკს'', რომ ბათუმის ხავაჟო გიმნაზიაში ყველა მოწაფეთ უუმწვერვალესად ეზიზღებათ მრავალ ,,საგმირო'' საქმეთა გამო ფრანგული ენის მასწავლებელი, რომლის წყალობით არა ერთი და ორი მოწაფე გამოთხოვებია გიმნაზიის კედლებს, მიუხედავათ ამისა გაწვალებული ესე ფრიად მოსწონს გიმნაზიის მთავრობას და ეს უკანასკვნელი მზად არის მთელი გიმნაზია დაითხოვოს, ვინმემ ეს გმირი პედაღოგი? თუ ეს მოეხსენება, რა უშველის საქმესა ამას?

**კვინწარი.**

**პასუხი.** დროსა ამასა პედაღოგნი ასეთნი ფრიად მრავალ არიან, ვინაიდან ისინია ბურჯნი დელიანოვებისა და კომპანიისა. კუდი მათრახისა და კუდინი, თუ გინდ 100 საწყავი, ასეთ ვაუბატონებზე არ მოქმედებენ. ფრთები რეაქციისანი იფარავს მათ და გაწმენდა ქვეყნისა რეაქციისაგან გასწმენდს სასწავლებლებს ასეთ მაწვალებლებისაგან. სხვა წამალი არ არის.

**ეშმაკი.**

---

## მიმართვა ეშმაკისადმი.

შენ, „ყიამეთო“ მწერს მიხელაი,
თავს ნუ შემაკლავთ სჯობს ტყულათაი
მეცა ჩამწეროს მისწერე „ეშმაკს“
თუ კი ჩასწერა სხვაი ყველაყაი“
ეს დიმიტრაო ეს ნიკოკაო
ეს კოწიაო ეს ტელმაკაო,
რა ბუზებია ჩემთან ან ერთი
ჩემებრივ ხალხი ვინ მოკაკვაო.
არ დაიჯერებთ? აჰა ფაქტები:
ჯერე ვიპარე გოჭი, ბატები,
კვლავ გავფირალდი დარჩია და მე
ვცარცვეთ დუქნები, სახლებ საყდრები,
ცოტა ხანს მერმეთ გულმა არჩია
დავაღალატე, გავეც დარჩია.
სოსიკო პრისთავს მით შეურიგდი
და მასთან სტრაჟათ დიდხანს დავრჩია.
სტრაჟნიკობაშიც ვცარცვეთ ქვეყანა
და სიკოც იყო წილში ჩვენთანა
ახალ თაობაც რომ შემოვიდა
მეც გადავედი ვითომ ხალხთანა
მაგრამ შემიტყვეს ადრე შპიკობა
არ გამივიდა მათთან ხრიკობა
ამ დროს მომისწრო მთავრობის გრგვინვამ
და ეხლა ნახეთ ჩემი ბიჭობა.
გავხდი ხუნხუზთა მე მეთაური
საკმაო ძმებიც მყავს შინაური
თუმცა ნადავლი ძმებსაც მოვპარე
მაგრამ ჩავაქრე აურ-ზაური.
აქეთ მთავრობაც ხელს მისვამს თავზე
წარდგენილი ვარ „სტარშინობაზე“
დედა ვუტირე ახალ თაობას
ბიჭია შემხდენ პირდაპირ გზაზე.

ჯურუყვეთს ვკმარვართ ჩვენ მარტო მცველათ
საეჭვოს, ყველას გავთოკავთ ხელათ
ვფიცავ გაფხეკილ აზნაურობას
გაუმკლავდებით თუნდ სოფელს მთელათ.
ნუთუ ასეთ გმირს არ ჩამწერთ თავში
კაცობრიობის ისტორიაში?
მაშინ იცოდეთ შენც და ეშმაკიც
არ დამენახოთ აქ გურიაში.
მეც მაგისთვის გთხოვ, ეშმაკო დიდო
ეგ ხულიგანი აქო ადიდო
თორემ იცოდე მეც მარა შენცა
სჯობს სხვა ათასი რომ გადიკიდო.

**ყიამეთი.**

---

## მიდის ხელიდან აკაკი!

ვერც თუ აკაკი გაექცა
სარეაქციო კილოსა...
მოსდგა და ბეჭდავს **შაირებს**
დასაგმობს, სათაკილოსა.
მიკვირს მგოსანმა ეგეთი
„ლექსი“ ვით გაამხილოსა?
(თუმცა **„სიბერის ტკივილებს“**
ვინ გაექცევა შვილოსა?)

**ეშმაკი.**

P. S. ძლიერ მწყინს, რომ აგრე რიგათ
დახურდავდა მძლავრი მუზა
და არაქათ გამოცლილი
„ბნელს კედლებში“ შეიტუზა.

ე.

---

## რაჭა-ლეჩხუმი.

(გაკვრით რაჭა-ლეჩხუმში.)

ძმაო ეშმაკო! მშვიდობით მოვაწიე ტურფა ონამდე, საიდანაც, სალამთან, ერთათ, გიგზავნი გზა და გზა გაკვრით შენიშნულ ამბებს.

ლეჩხუმის თვალი ცაგერი ისევ „უცხო“ სანახავია! ზევით სერზე ერთი მეორეში ჰრეული ხშირი ძაღლების ყეფა ისმოდა, რომელსაც ხან გამოშვებით კაცის კივილი, და თოფის ჭექა უერთდებოდა. გამიგონია: „ცაგერის მახლობლათ დადიანს ნადირობა უყვარდაო“, და რაკი ეხლა დადიანობა მის ბრწყინვალება რამინ ჩიქოვანს დარჩა, ვიფიქრე: ის ნადირობს მეთქი! ამ ფიქრებში გართულს უცბათ ერთი ჩემი ძველი ნაცნობი არტემა შემხვდა, რომელსაც სახის დაღრეჯილება შევნიშნე და ვკითხე თუ როგორ იყო მისი საქმე! ჩემი საქმე რომ არის დაიწყო არტემამ—ღმერთმა ისე ჩვენი დოხტური ნადირაძის საქმე წეიყვანოს.—ეს ერთი ხანია ცოლი მიკვდება და არა იქნა ვერ მივიკარე და ვერა... დილას გათენებამდე ტყეში მირბის, ხომ გესმის ი ძაღლები, რომ ყეფენ ისიც იქ ბრძანდება გასართობათ. ის ძაღლებს დასდევს და ჩვენ იმას დავდევთ, სწორეთ აღარა ვართ მეტი... ნეტაი ხანდახან მაინც მოდიოდეს მაგ ჩვენი ცოდვით სამსე! როცა დარია: „ახლა კარგია ნადირობაო“ და მირბის; როცა ნაწვიმარია. „ახალა კიდევ უკეთესიაო“ და როცა თოვლია: „კვალი უკეთ ატყვიაო!“ ერთი სიტყვით მაგისი ბინა უფრო ტყეშია ვიდრე კაცთა შორის და არ ვიცი რა გვეშველებაო“ დაათავა არტემამ.—გამახსენდა განდევნილი ექიმი ჯინორიძე და ბრწყინვალე წოდების მიერ ამ მხრივ წინ გადადგმულმა ნაბიჯმა გულში ხიც-ხიცი დამიწყო!...

ცაგერის შემდეგ პირველი შეჩერება **ს. ტოლას** (რაჭა) მომიხდა—აქ ერთი ძველი ნაცნობი **მიხა გოგოშიძე** ვინახულე, მაგრამ სამწუხაროთ მას „ფრონტი“ შეეცვალა და ამიტომ ჩემს მიღებაზე რომ უარი არ ეთქვა, უცბათ მივაძახე: „მალადეც“ მიხა! უცხოთ გიხთება მაგ ყელზე „სტარშინას“ ჯაკვი და მიხარია ჩემსავით შენგანაც შეცდომის მალე მიხდომა მეთქი„—“ეჰ, გავბრიყვდი შენი ჭირიმე—დაიწყო მიხამ, თვარა რა ჩემი საქმე იყო. სახედარსავით რომ ვღრიალებდი: „გაუმარჯოს ერთობასათქვა!“—მადლობა ღმერთს, ეხლა ისევ გამოვაკეთე საქმე და ასე მგონია აღარაფერი მიჭირს.—„ურიადნიკი“ მეუბნება წადგენილი ხარ „მენდალზე“ იმის გამო ვენახში დაწოლილი დაჭრილი მალხაზა სალუქაძე რომ გვაჩვენეო და ვნახოთ...“ ჩაილიმილა მიხამ.

გამახსენდა ეხლა უკვე საიქიოს მყოფი საცოდავი მალხაზა და ამ მოგონებით ამღელვარებულმა ცოტა მათრახის კუდი გამოვწიე, მაგრამ მალე ისევ დავმალე რადგან თავში გამიარა, რომ შენ უფრო მაგრათ მისცხებ ჩემო კარგო ეშმაკო!...

ტოლიდან გვიან წამოსული **ს. მიქარწმინდაში** ღამე მივედი სხვა გზა არ იყო უნდა ღამე აქ გამეთია და რაკი სინათლე მხოლოთ ერთი სახლიდან გამოსჩვიოდა და რაკი ისიც ვიცოდი, რომ ეს სახლი სტუმართ მოყვარე გიორგი ი. სოხაძეს ეკუთნოდა კარები შევაღე.—სახლში მამა გიორგის გარდა არავინ იყო და მასაც თავი სტოლზე მდებარე ჩაკაჭკაჭებული „უსტარის“ ბოლოზე დაედო და ისე ჩასძინებოდა.—ვიფიქრე საქმე სულიერ მოძღვრებას შეეხება მეთქი და ცერებით სტოლის ახლო მისულმა სხვათა შორის შემდეგი ამოვიკითხე: მის აღმატებულებას... არ მახსოვს რა თვეში 1905 წ., ზაფხულობით ნებართვითა სათანადო მთავრობისა წავედი ს. მიქარწმინდაში ჩემს ოჯახში.—მივედი თუ არა მეორე დღესვე დილით მოვიდენ ჩემთან სახლში ერთ-მეკარენი ჩემნი ერასტი და ესტატე და

გამომიცხადეს „მოვალე ხარ დღესვე მუშაში საზოგადო გზის სამუშევრათ ერთათ სხვებისა“ მე უპასუხე: „ჩემი წოდების პირანი არა ვართ მოვალე გზები ვიმუშაოთ დანაბარი გლეხებესა“ მით დასძინეს: ჩვენ დავალებული ვართ ხალხისაგან უეჭველათ გამუშაოთ შენც და სხვებიც ვინც უნდა იყოს“ დავფიქრდი და სინამდვილისათვის გავედი თავ ყრილობაზე და მართლაც ვნახე გლეხთა შორის სამღვდელონი და აზნაურნი თოხებითა აღჭურვილნი შეურიგდი მათ და დავიწყე მუშაობა ბუგეულის ხიდიდან, შემდეგ მუქარიამუშაობისა დავისვენეთ ახეთის ადგილებში და შეუდექით სადილისა ჭამას —გათავდა რა სადილი და ყველანი ერთ დროს ადგენ, იმ სოფ. მღვდელმა ამოიღო ჯიბიდან ორი ნაჭერი დაწერილი ქაღალდი, ერთი მათგანი გადასცა მეზობელსა თვისსა და ორივენი შეუდგენ კითხვასა, ხოლო კითხვისა ჟამს გაისმოდა სიცილი.—მეცა მოვითხოვე ერთი ვითარი ქაღალდი დავრწმუნდი რომ ნანდვილათ „პროკლამაცია“ იყო.—მეორე დღეს დილით ადრე მივიგრაგნე ბოქაულისა ასლან კვიტაშვილისა მიმართ და შევადგინე ოქმი წარწერითა ყველა ნათქვამ გარმოებათა. მით უმეტეს მე ერთგულმა მსახურმა მეფისამან ვერ დავფარე უწესობა ხალხისა და მისი მეთაურისა. . . . . .

. . . . . “.

„ეპისტოლე“ ესე დიდი იყო მაგრამ მე ამ სიტყვების მეტი ვერ მოვასწარი, რადგან დღის სინათლემ ღამის სიბნელეს გაბნევა უწყო და მეც დარჩენა აღარ შემეძლო.—მამა გიორგი ისევ მძინარე დავტოვე და უნატრე კიდეც მანამდის ძილი სანამ მათრახისა კუდი არ შეარყევს ზურგსა მისსა

**ნაცნობი.**

# წერილები ეშმაკისადმი.

**სიმონეთი.** ბ-ნო ეშმაკო. „სკვინჩას“ მიერ თქვენ უკვე მოგხსენდათ, სიმონეთელ მოძღვართა მოქმედება, მაგრამ ყოფილ მასწავლებელ ი. თორთლაძის შესახებ ალბათ ჯერაც არა იცით რა. მან კი 600 მანეთი ფული „შეიმასქნა“ საზოგადოების და ისე მოხერხებულათ „შეიმასქნა“, რომ თქვენ „გაგაიმასიქს“. ჯერ კიდევ არავინ იცოდა 600 მანეთის „შეიმასქნის“ ამბავი, რომ ივანე მოიპრა ბოქაულთან და მოახსენა: ჩემს იქ არ ყოფნის დროს სამმართველოს კასა გასტეხეს და ფულები მომპარესო“. მაგრამ წარმოიდგინეთ ბ-ნო ეშმაკო, რომ ამ დროს იმ სამმართველოს ექვსი სტრაჟნიკი ყავდა ყარაულათ სოფლის ხარჯით დაქირავებული. პირიქით გამოძიება ამ საქმის შესახებ ჯერაც არ დასრულებულა და ვგონებ საქმე ამ 600 მანეთზე არ დადგება.

ახლა გთხოვთ ბ-ნო ეშმაკო, რაც ერგებოდეს ამ ვაჟ-ბატონს თავისი წილი „სპერმაკუდინიცა“ და მათრახის კუდიც გამოუგზავნო.

დესპინეშვილი.

—

**პეტროვსკი.**

ჩვენო მფარველო ეშმაკო
მოგმართავთ სათხოვარითა
თუ დრო გაქვს ჩამოგვეშველე
შენი მათრახის ტარითა.
სწორეთ ეკუთნის „კუდინი“
კომრავა დანიელასა
და თუ ერთს ჩამოფრინდები
დიდათ გვაამებ ყველასა.
მხოლოდ გაზეთის კითხვისთვის
გააპანჩურებს მუშასა,
და კუდიც მოხვდეს მათრახის
ვგონებ არა რა უშავსა.

ა. მგალობელი.

—

**შილდა** (კახეთი). ბ-ნო ეშმაკო! ხომ მოგეხსენებათ როგორი წვითა და დაგვით შევირთეთ თითო ცოლები, რათა კერა არ გაგვციცვებოდა? ახლა, ამ ბოლო დროს, საქმე ცუდათ წაგვივიდა ძმაო. ისიც მოგეხსენება ალბათ, რომ აქ ახლო წარსულში ილიას სახელობაზე ფონდი დააარსეს. მოიდვეს ჩვენმა ცოლებმა მიზეზათ ეს ფონდი და მთელ ღამეებს ლოტოს თამაშობაში ათენებენ, ვითომ ამ თამაშით ფონდს ვაძლიერებთო. მაგრამ ისე თქვენი მტერი გაძლიერდეს, როგორც ამ დღეს უკან ჩვენი ოჯახი გაძლიერდა. მოდის ქმარი სამუშაოდან, კითხულობს სად არიან ქალებიო?

— ლოტოს სათამაშოთ წავიდენო; უპასუხებენ ატირებული ბავშვები.

ჩვენი მდგომარეობა იმით არის სავალალო, ბ-ნო ეშმაკო, რომ ერთი ზღაპრული თქმულებისა არ იყოს: გაუშვებ ინანებ, არ გაუშვებ და იმასაც ინანებ, ვინაიდან ქალი სულს შეგიწუხებს: „ასეთ ყოფნას არ ყოფნა სჯობია; დღეს იქ იქნებიან ყველა ჩვენი ქალები: თიკო, ტასო, ბაბალე, ნინა, მინა, მაკრინე, დესპინე და მე კი თვალებ გამოღამებული შინ ვაგდივარო“. ასე და ამგვარათ ძმაო, ხომ გიგიგონია: „საწყალ კაცს ქვა აღმართშიაც მიეწევაო“—აკვნის რწევა გვაკლდა და ახლა იმასაც ვეღირსეთ.

ახლა შენი იმედი დაგვრჩენია, მამაო ეშმაკო, შენ იცი თუ ამათ მოგვარჯულებ. ძილშიაც აბოდებთ ხოლმე: „სემუუუ“, „დვაცატავოო“ „ტრიო“. კონჩილო და სხვა. როცა ამ რუსულ თვლას დაიწყებენ ერთი შენი მათრახის კუდი უცხუნე ჭკუაზე მოვიდენ.

ვანელი ბაგრატა.

—

**ბაქო.** ძვირფასო ძმაო ეშმაკო! რომ იცოდე რარიგ საჭიროა ერთი შენი აქეთ ჩამორბენა, ვგონებ ბევრს არ დაეყოვნებდი.

თუ მართლა წამოხვიდე ეს მაინც იქონიე სახეში, რომ საათი ან ძვირფასი სხვა ნივთი არ

იქონიო თან, თორემ ვოგზლის უკან რომ ,,ქართველი ჯგუფი'' მოქმედობს, მალე დაგაბანინებს ხელს. ჟანდარმებს დაემალება კაცი და შანტაჟისტების ხელიდან გაძრომა კი თითქმის მოუხერხებელია.

,,ერთმა ღორმა ასი გასვარაო'' რომ იტყვიან, ისეა ჩვენი საქმე, თუმცა ასეთი გამსვრელი ,,ღორი'' რომ ერთი ყოფილიყო უშენოთაც გავუსწორდებოდით. თუ წინათ ნდობითა და პატივის ცემით გვექცეოდენ ბაქოელ ქართველებს, დღეს ახლოც არავინ გვიკარებს: ყველანი ,,შანტაჟისტები'' ვგონივართ. ამ ვაჟბატონებმა იმ ზომამდე განავითარეს თავისი სამარცხვინო ხელობა, რომ დასაჯერებლათ ანელია. ბოლო დროს მოდაში შემოვიდა ქალებისადმი წერილის მიწერა. სწერენ: თუ ამა და ამ დროს ფულები არ დაამზადე ,,განსაცდელი'' მოგელისო. მართლაც რამოდენიმე ქალბატონების შემწეობით, რომლებსაც ბაქოში ,,ოღრაშს'' ეძახიან, გაიგებენ ხოლმე როდის არის ოჯახში მარტო ქალი, მიუხტებიან და ვინ იცის რა საზიზღრობას არ ჩადიან.

ყოველივე ზემო აღნიშნულის შემდეგ სრული უფლება გვაქვს, ბ-ნო ეშმაკო, მოვითხოვოთ თქვენგან ამ ვაჟბატონებისათვის საკმაო ,,კუდინი'' და მათრახის კუდიც.

შენი კალამი.

—

**ხონი.** (ნაპოვნი წერილი). ძმაო სანდრო! ...მწერ: დაწვრილებით შემატყობინე ხონის ამბები... რას შვრება შენი ძვირფასი „სმოტრიტელი" და როგორ არიან დანარჩენი ხონის დიდებული მოღვაწეებიო!..

დიდი სიამოვნებით ვიღებ კალამს რომ შეძლების დაგვარად აგიწერო ხონელ კაცუნების ავან-ჩავანი.

იცი, სანდრო, რომ უკვირდები ჩვენს ცხოვრებას თანდათან ვრწმუნდები, რომ შენი საყვარელი ს. ენუქიძის მზგავს ადამიანებს თურმე თვით ეგ ოხერი ცხოვრება ჰქმნის. ავიღოთ მაგალითისათვის ჩვენი „სმოტრიტელი" ვლადიმერ მაჭარაძე რა იყო, ყმაწვილო, ის გუშინ? არაფერი. ეხლა კი დიდი ვინმე გონია თავისი ცარიელი თავი და ფამობს ერთიანად შეგვჯდეს კისერზე. ხუთმეტ თუმნიანი შკოლის „სტოროჟი" ახლად აშენებულ სახლში წაიყვანა და იმსახურებს. შკოლა კი დაუგველია. შეგირდებმა უარი განაცხადეს კლასების დაგვაზე. შეგირდების ურჩობამ ძლიერ გააჯავრა ვლადიმერი და დაგვემუქრა: ეგ მასწავლებლების ბრალია და „დოლჟენ დონესტი" ო. შკოლის შენობას ხომ კონფისკაცია უყო! სხვათა შორის ერთი კარგი თვისება აქვს ჩვენს ვლადიმერს: კარებში აიტუზება და ყურს უგდებს: აბა რას ელაპარაკება მასწავლებელი ყმაწვილებსო. (ხომ გაგონდება შენი ენუქიძე?)...

ეხლახან აქეთ ხმები გავრცელდა მათე ბახტაძის შესახებ, ვითომც ის ბათუმელებს მიეწვიოთ გაკოტრებულ ბანკის დირექტორათ, მარა მე, ურწმუნო თომა ვარ და ვფიქრობ: ეს ხონური ხრიკებია. მალე ხონის ბანკის წლიური კრება უნდა მოხდეს და მათე ჩვეულებისამებრ ჯამაგირის მომატებას მოითხოვს და... მიუმატებენ კიდეც, თორემ მათე ბათომში რომ წავიდეს (?) მაშინ რაღა ეშველებათ ჩვენს ვაჭრუკანებს? ხომ დაეკარგებათ ნიჭიერი ფინანსისტი...

ჩვენს მხცოვან მოღვაწეს ივანე შარაშიძეს ამ ბოლოს დროს დასჩემდა „მარტოობა სულისა". ამის გამო მან მოიგონა ლოტო, რათა ხშირად იხილოს ჩვენი მანდილოსნების თავშეყრილობა და მით „სულის მარტოობა'' სძლიოს... მეტი რაღა მოგწერო, სანდრო! ცხოვრება აქეთ ძალიან უფერულად მიმდინარეობს! და... მომწერე თქვენი ამბები.

შენი კირილე.

P. S. ეს წერილი ფოსტის კიბესთან ვიპოვე და რადგანაც ერთგვარ ინტერესს მოკლებული არ არის თქვენ გიგზავნით ,,ეშმაკის მათრახის'' მახლობელ №-ისთვის კონვერტზე ეწერა: ახალსენაკი. ს. ენუქიძე. გადაეცით სანდროს. სამწუხაროთ ავტორს არ სცოდნია, რომ ენუქიძეს წერილების გადათვალიერება უყვარს.

№ 1.

—

**დ. ნაოლალევი.** მეგობარო ეშმაკო! ბოდიშს ვიხდი, რომ ამდენ ხანს წერილი ვერ მოგწერე, მაგრამ ნეტავ შენის მშვიდობით არც მაშინ მომეწერა. იცი ჩემო ეშმაკო, რა აურზაური ასტეხა აქ შენმა მათრახმა? ზოგს ნამეტანი მოხვთა შენი მათრახის კუდი და ზოგს კიდევ ნაკლებათ, მაგრამ ყველა ესენი შენმა მათრახმა ერთ ბანაკში მოაგროვა, დაამეგობრა და ერთ გზას დააყენა. მათ ძლიერი იერიში მიაქვთ მეორე ბანაკის წინააღმდეგ, რომელშიდაც მომწყვდეული არიან აქაური საეკლესიო და საერო სკოლის მასწავლებელნი, გარდა მასწავლებელ ცხაკაიასი, რომლისთვინაც ,,სპერმაკუდინი'' მეტი ზომისა დაგილევინებია. იცი, ჩემო ეშმაკო, შენგნით გამათრახებულნი გულმოდგინეთ დაეძებენ შენს აქაურ მასპინძელს, მაგრამ როგორც ყოველთვის ახლაც გზა დაბნევიათ. ისინი ცალკე სექტას შეადგენენ, ეგრეთწოდებულ ,,სექტას გამათრახებულთა''.ს ჰოი, იცოდე ნეტავ ჩემო ეშმაკო, რამდენი რამე საქმე მაქვს შენთან. ავათ გავხთი, ფერშლები არ მომეკარენ, რეცეპტი დამიწერეს, მეაფთიაქემ წამალი არ მომცა, აქაო და არ არის ჩემ აფთიაქში წამალიო, ფულები ემართა ჩემი სხვებს, ბოქაული კი არ ახთევინებს, მოსამართლე მსაჯული კი გაჯავრდა, საქმე არ გამირჩია, ოჩამჩირეში მივდივარო, ფოსტის უფროსმა კი ეშმაკის წერილს ვერ გაგიგზავნიო, პასპორტი მინდოდა, მინდოდა სამე გადავკარგულიყავ, მაგრამ ბეკოც აღარ იძლევა, ,,რუსის მაჭარი'' ჩემი ზიარება რაღათ მომისპეთო, ბაზარში კიდევ ყველასფერი გამიძვირეს. ეჰ! ვინ იცის ჩემო ეშმაკო კიდევ რამდენი რა მჭირს მე შენგნით. ამაებს შენი ჭირი წაუღია. მაგრამ უბედურება აი რაშია: აკი მოგახსენე შენი აქაური მასპინძელი ვერ გაიგეს მეოქი. მართალია ვერ გაიგეს მისი ვინაობა, ვერ შეიტყვეს თუ ვინ არის შენი „უჩინმაჩინი". ისიც სთქვას „გამათრახებუ-

ლებმა“ შენი მასპინძელი არის აქაურ სასწავლებლის ზედამხედველი ა. სულავაო, კა მაგას ბიჭებოო! დასძახეს ერთბაშათ. მაგრამ შენის წყალობით ვერა უყვეს რა. ეხლა კი 31 იანვარს ზოგიერთ „გამათრახებულ-გასპერმაკუდინებულმა“ სულავას წინააღმდეგ შეგირდები ააბუნტეს. მაგრამ რა მიხარია ჩემო ეშმაკო, რომ თავიანთი სიბოროტე თვით დაატყდათ მათ თავიანთ თავზე. სულავა კი დარჩა ისევ მართალი, როგორიც იყო. სრული დარწმუნებული ვარ ჩემო ეშმაკო ერთს კიდევ გამოინავარდებ ჩვენსკენ და ამ საქმეს გამოიკვლევ და კიდევ მოსცხებ შენ მათრახს იმ ვაჟბატონებს, რომელნიც დაფარულად სხვის დასაღუპავად მოქმედებენ.

P. S. მათრახი არ დაივიწყო, ვინიცობაა ზოგიერთებისთვის დაგვჭირდეს. „სპერმაკუდინი“ თან წამოიღე, მაგრამ ბლომათ და თუ შენ ვერ მოახერხო ბაღაჟათ მიეცი.

ისევ შენი მასპინძელი „უჩინ-მაჩინი“.

—

**სუფსის რაიონი.** ძმაო ეშმაკო!

არ იქნა და არ გვეღირსა შენი აქეთ ჩამოფრენა,
უშენობით ბნელსა ძალებს არ აკლიათ შვება-ლხენა.
ამიტომაც გეეედრებით ერთი ჩვენთვის მოიცალო
და სულ ყველას მისცხო თითო, ვინც კი ქვემოთ
მოგითვალო.
ჯერ ჩოჩხათის ,,მოსე მწერალს'' მოუზორე კარგათ
წელი,
რადგან ამა ცოდვის შვილმა აგვიოხრა მთელათ
სოფელი.
შემდეგ ვანოს მისთავაზე, პედაგოგობს რადგან
კოჭლათ
თითონ სადღაც დაბრძანდება, ბავშვები კი რჩება
ობლათ.
აქედან სუფსაში ჩახვალ, იქაც სკოლას ინახულებ
ორჯონიკიძე შეგხვდება, მათრახით ზურგს აუცხუნებ.
იქვე არის კობახიძე, და ცნობილი მაჩაბელი
ერმილ გიგინიშვილი და ტელემაკ გურიელი.
თითო ყველას უთავაზე გინდ „კუდინი“, გინდ
მათრახი,
რომ ხრიკი რამ არ მოგიდონ და არ გახდე დასაძრახი.

შენი კასიო.

—

**ღანირი.** ძმაო ეშმაკო! ნესტორ ხუცესი დიდის ენერგიით კრებს დრამა ფულს. თუმცა სხვა მეზობელი სოფლის მღვდლები ღარიბებს ნახევარს ახდევინებენ, მაგრამ ნესტორს „საყოველთაო, ფარული'' გადასახადი ურჩევნია. ხალხს არწმუნებენ, ძმაო ფული ხაზინას მიაქვსო, მაგრამ ოქროპირ დიაკონმა ქუთაისს ხაზინის კარები ტყვილათ არ აატალახა.

შავგვრემანი.

—

**გვაზაური.** ძმაო ეშმაკო! შენ იქნება არც კი იცი, რომ ქვემო იმერეთში არის სოფელი გვაზაური და მას ასია ,,სასიქადულო'' ახალგაზრდობა, (ისე აუშენდათ ოჯახი!) რომელმაც აგერ წელიწად ნახევარია მეტ ბარგათ ღვინარა სინდისი, პატიოსნება, ყოველგვარი კეთილშობილური მისწრაფება, ერთი სიტყვით ყოველივე ის, რაიცა ადამიანს პიროტყვისაგან არჩევს. ეს რეაქციის მკლავაძეები უმთავრესათ კარტის თამაშობასა და სხვა თაღლითობაში ატარებენ ,,ღროებას'', თუმცა ხშირად ახალ ჯვარდაწერილებსაც ესხმიან თავს. ერთი ამგვარი მოვლენა მოხდა 15 იანვარს გვაზაურის ეკლესიის გალავანში.

ჯვარდაწერილები პირდაპირ კანცელარიისაკენ გაეშურენ, მაგრამ მამასახლისი ღვინით გამოიმასქნილიყო და აღარაფერი ეკითხებოდა.

ახლა მოგმართავთ შენ, რომ დაგვიფარო ამ თავაშვებული ბრბოსაგან შენი მათრახის კუდით.

კოსონია.

---

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! გთხოვთ გამოაცხადოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში, რომ მე დიდი სიამოვნებით ვთანხმდები გავყვე სამედიატორო სამართლში ბ. ნიკო ჯანუაშვილს და დაუმტკიცო ის ბრალდება, რომელიც ამ ორი თვის წინათ იყო მოთავსებული თქვენს გაზეთში. მაგრამ რადგანაც მე არავითარი საშვალება არა მაქვს ამ ჟამათ მანდ ვიქნე, ამისათვის ჩემს მაგიერობას ამ საქმეში ვანდობ ამხ. „ნაუმანს“, ხოლო მედიატორეებათ ვასახელებ: ექიმ ივანე გომართელს და ვეკილ კოწია ჯაფარიძეს. საქმე თფილისში გაირჩევა და განაჩენიც გაზეთებში უნდა იქნეს გამოცხადებული. იმედია გვაცნობებს თუ ბ. ნიკო ვის ასახელებს მედიატორეებათ.

პატივისცემით „ოტსტავნოი“.

—

ბატონო რედაქტორო! თქვენ პატივცემულ იუმორისტიულ ჟურნალ „ეშმაკის მათრახში“, ვიღაც კორესპოდენტმა, ერთ-ორხელ ცუდათ მოიხსენია ჩემმი სახელი, რომლითაც ალბათ უნდოდა ჩირქი მოეცხო ჩემთვის და არა-საიმედო პირათ გამოეყვანე საზოგადოების თვალში. მე თავის ქებას არ მოვყვები, მაგრამ იმავე დროს არ შემიძლია არ გაუზიარო მკითხველს, რომ თუ საზოგადოებისთვის დიდი არაფერი გამიკეთებია, ცუდი მაინც არაფერი მიქნია, ხოლო თუ ჩემი მეცადინეობით ლეხოურს საუკეთესო ორ-კლასიანი სკოლა აუშენე, სკოლასთან ერთად საკუთარის ჩემის ხარჯით ერთი დესიატინა მიწა ვუყიდე და ზედ ბაღი გაუკეთე და მზრუნველობას უწევდი და უწევ, ჩემს მეზობლებს, რითაც შემეძლო დახმარებას ვაძლევდი და ვაძლევ, მე მგონია ეს ზრახათ არ უნდა ჩაეთვალოს კაცს; ან და შეიძლება ბ. კორესპოდენტი მემდურის, რომ „ოზურგეთის მაზრის ამაზრებელი“ ჩემთან ცუდ-განწყობილებაშია და უნდა რომ მახე დამიგოს. ვინ იცის ეს კორესპოდენტი მოსყიდული იყოს იმ „პირისაგან“, უკანასკნელ შემთხვევაში შევეკითხები ლეხოურის საზოგადოებას და თუ ისინი, მე არა-საიმედო პირად მცნობენ და მავნეთ, წინდაწინვე ვაცხადებ: ყოველივე სასჯელი მივიღო მზათ ვარ, მაგრამ (როგორც წინათ ვსთქვი) ხსენებული კორესპოდენტი, ან მტერია ჩემი (ისე ხომ არ იქნება კაცი, ერთი ან ორი მოსდურავი არ ყავდეს, რადგან ეშმაკს და ანგელოზს, კაცი ორივეს ერთნაირათ ვერ ემსახურება) ანდა სწორედ აგენტია იმ ჩემი

დაუძინებელი მტერის, რომლისაგანაც შეწუხებულია მთელი ჩვენი მხარე. ამ კაცს ჩვენში შემდეგი ლექსით იცნობენ:

ენა დიდი აქვს—ჭკუა პატარა,
მშიერი იყო—დღეს კი გამძღარა,
კითხვა არ იცის—წერა სულ არა,
ხალხს ეძაგება—მეჩქეედ დამჯდარა!

ანუ:

ენა იმფერ ადგილზე აქვს
მახვილი ვერ მიუდგება,
თორემ ძირში ჩაათლიდენ,
ტრაბახობას რომ მისდგ ბა.*)

ხოლო ის ვაჟბატონი (კორესპოდენტი) რა აზრებითაც უნდა იყოს აღჭურვილი, სიმართლის აღსადგენათ, რომ შემდეგშიაც მკითხველი შეცდომაში არ შეიყვანოს—ვიწვევ სამედიატორო სამართალში და უდებ ერთ კვირას ვადას, რათა დაასახელოს თავის მხრივ კაცები, უკანასკნელ შემთხვევაში, რაც ზემოდ მოვიხსენიე მაზედ, ყოველივე მართალი ყოფილა და მაგისთანა კორესპოდენტს რედაქციაში ადგილი არ უნდა ქონდეს.

ჩემის მხრით მედიატორებათ ვასახელებ პართენ ალ. გოთუას და იასე (რაჭველს) მეხუზლას.

ბებურ ბებურიშვილი.

—

ბატონო რედაქტორო! ერთი სიტყვით მე მაშტერებს ის, რომ ბატონ ნაცნობმა პირდაპირ გამლანძღა მეცა და მთელი სადმელის საზოგადოებაც. დღესაც არ ვიცი რის საბაბი იყო და ჰამაც შაგვპირდა მეცა და მთელ საზოგადოებასაც თითო-ოროლ მათრახს. ჯერ მე ესრე ჩემ დღეში არ შევმცდარვარ რომ, მე ვისმეს გაველანძღე და მათრახით ცემასაც შამპირებოდეს. ეხლა მე ამ ბ. ნაცნობს ვიწვევ სამედიატორო სუდში და ჩემის მხრით მედიატორეთ ვირჩევ მხოლოთ ორ კაცს; იოსებ ბლიაძეს და ლუკა ებრალიძეს.

პართენ ი. მურუსიძე.

რ ე დ. შ ე ნ ი შ ვ ნ ა. სამწუხაროდ უნდა შევნიშნოთ, რომ ბ-ნ მურუსიძეს ვერავითარი მამაოჩვენობით ვერ შევაკნებიეთ, თუ ჩვენი გაზეთის საშვალებით ამხ. ნაცნობს მისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია, ვინაიდან ნაცნობის კორესპოდენციაში სრულიადაც არ არის ნახსენები არც სახელი და არც გვარი პართენ მურუსიძისა.

კვალად მწუხარებით აღვნიშნავთ მურუსიძის მეორე გაუგებრობას. მას გონებია, როდესაც ჩვენს წერილებში მათრახის კუდს ვახსენებთ, მართლა ფიზიკურათ ვამათრახებთ ვისმე, რაიცა ცხადათ ჩანს მის ზემორე მოყვანილ წერილიდან.

---

*) ავტორის თხოვნით უცვლელათ ვბეჭდავთ.

რედ.


# განცხადებანი.

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა

„შრომა“

ღებულობს ყოველგვარ საბეჭდავ საქმეებს, ასრულებს სწრაფად და ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებში.



## ავადმყოფებს და სუსტებს „სპერმატინი“

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით, არის „სპ რმატინი“. იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების ესენციაა, იგი ძალის მომმატებელია. „სპერმატინი“ მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშორებს რა მავნე ელემენტებს, ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის ვ ვლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის“ ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის განმანადგურებელ დრო-ჟამთან „სპერმატინი“ შედეგია ბროუნ-სეკარის შესანიშნავ აღმოჩენისა. შველის ყველაფერს: სისხლნაკლებობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს, გადაჭარბებულ დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს, ონანიზმის შედეგს და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოჭარბებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, ჭლექს, ქარებს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას, ბუასილს, ბნედას და სხვას. ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

### ავადმყოფთა წერილები.

**ბ. ი. ახობაძე! მ. ხ.** ამას წინათ გამოვიწერე თქვენგნით 2 ფლაკონი სპერმატინი, რომლის მიღების შემდეგ უკეთ ვგრძნობ. დარწმუნებული ვარ, იგი არის საუკეთესო საშვალება ნერვების სისუსტისათვის, რომლითაც მე 5—6 წელიწადი ვიტანჯებოდი, ვიდრე მე თქვენგნით გამოვიწერდი, მანამდის გამოვიწერე 4 ფლაკონი სპერმინი კოლენიჩენკოსი გავლილი წლის ნოემბერში, მაგრამ არავითარი საშვალება ჩემთვის არ მოუცია, ამიტომაც გულ-წრფელ მადლობას ვწირავთ და ამასთანავე გთხოვთ წერილის მიღებისათანავე გაგზავნოთ 2 ფლაკონი სპერმატინი ახალციხეში, რომელსაც უგზავნი ჩემ ძმას, რომელიც იგივე ნერვების სისუსტით არის ავათ.

ადრესი: ახალციხე, სევასტი პეტრეს ძე ნებიეროვი. პატივისცემით ნიკო ნებიეროვი. სოფელი ბარდა. 31 იანვარი 1908 წელი.

„სპერმატინმა“ ი. ნ. ივანოვისამ დაიმსახურა აუარებელი სამადლობელი წერილი, ოქროს მედალი და უმაღლესი ჯილდო რუსეთში, ლონდონში, პარიზში და ბრიუსელში.

„უფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას. წიგნაკები უფასოდ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ. 5-დან 10-დე 65 კ. შუა აზიაში ორჯერ ძვირია, აღმოსავლეთ ციმბირში—სამჯერ. გამოწერა შეიძლება ფოსტით, მხოლოდ წინდაწინვე უნდა გამოიგზავნოს ბე ფოსტის მარკებით ან ფულით—მესამედი ფასისა.

მსურველს, ი. ნ. ივანოვის „სპერმატინის“ ვთხოვთ მიმართონ ჩვენ წარმომადგენელს მთელ კავკასიისათვის ი. გ. ახობაძეს. ადრესი: თფილისი, ვერა, მოსკოვის ქუჩა სახ. № 4. ან „სპერმატინის“ კანტორის განყოფილება ბაქოში, ი. გ. ახობაძეს. სტარო პოლიციის ქუჩ. სახ. ლაზარევისა № 14. და ქუთაისში, აფთიაქის საწყობში კოკოჩევთან მოიკითხეთ „სპერმატინი“ ახობაძისა. ჭიათურაში იაშვილის აფთიაქში. ფოთში ბ-ნ კოხრეიძესთან. ცაგერში—ბ-ნს არსენ მჟავანაძესთან.

**წარმომადგენელი კავკასიისთვის ი. გ. ახობაძე.** თფილისი, მოსკოვის ქუჩა, სახ. საბაევისა № 4. **უბეოდ საქონელი არ იგზავნება.**



ლეჩხუმელ თავადის ქეიფი ახალ წელიწადს.

## თომა და ოთა.

**ოთა.** ბიჭო თომა მეცოდება,
რომ დაახრჩო ეს მასხარა,
მძულდა მარა ამ სურათმა
მაინც კიდევ გამამწარა!

**თომა.** ნეტავ თითონაც დაიხრჩოს
არ მენაღვლება ძმია,
მოგიკვდეს თომა, საგლოვათ
თუ გავიმეტო წამია!

**ოთა.** დამხრჩვალს რათ აღარ ცილდება,
კისერში კიდევ რომ ასხამს,
ხომ ხედავს მისებრ უძღები,
რომ აღარ ჩადის, ველარ სვამს?!!

**თომა.** ასე ფასობენ სიცოცხლეს,
ასეა ძმაო მონება,
რისთვის ვერ ამჩნევ შენ ამას,
რისთვის არა გაქვს გონება?!!

**ოთა.** როგორ ვერ ვამჩნევ, აქ იყო
რაც ივანეს ხვდა სიმწარე,
მაგრამ ეს ხომ სულ სხვა იყო.
მაგის თვის-ტომი-მეგვარე?!!

**თომა.** თვით ,,ჟლოყინობდა'': ,,სად გლეხი,
და ჩემი გვარი სადაო'',
თორემ ამ ღატაკს, საცოდავს,
რა ჰქონდა ჩვენთან სადაო?!!

—ი

რედაქტორ-გამომცემელი თ. ბოლქვაძე.

ელექტრომბეჭდავი ამხ. „ზრუმა", მიხეილ. პროსპ. 65.